




უსიტყვოდ

გაზეთი

12
1982

**ზოგიერთი რაიონული
გაზეთის რედაქტორთა
საუბრეობა**

ამას წინათ ნინამა
ჩვენი რედაქტორის
ზოგიერთი რაიონული გა-
ზეთის რედაქტორებს რომ
გადახედა, მერე გადმოხე-
და, იფიქრა, დახმარებო-
და კოლეგებს და ეს რუბ-
რიკები შეიმუშავა. ნახეთ,
თუ ჭკუაში დაგიჯდეთ,
გამოიყენეთ კიდეც!



— მორჩა! დღეიდან ძირფესვიანად უნდა გარ-
დავქმნათ მუშაობა: შენ მასალას მოამზადებ!
შენ შემოგიტან! მე, აბარ, კალათაში ჩავეყრი!

„გიგანტური ნაპიჯებით გავასწოთ წვიმას!“
„თქვენ მოგასალმებათ გადნიერი...“ (რაიონის სახე-
ლი თვითონ ჩანართი).

„გონიერება ტვირთია მოგავლის კრადოსი!“
„აღზავებული კლასის პრინციპული ელექსირი“
„იქუხა? — იზრდვინა კიდევაც!“
„რიკარდო ლატანცის მარადიული წამის ეპო!“
„ნუ გაუდინებთ გვალვას, პირიქით, მოედრუგლათ!“
„ის, ვინც ადმა მიდის — თავდადართში ამდარდა-
ბა!“

„თვითმყოფადს — ავსოლუტური შესაძლებლობა,
ექსპერიმენტს — სარწმუნო ჭეშმარიტება!“

„ჯერარნახული გამარჯვება შრომის ავანგარდში“.
„შენი შრომითი ნობათი სამშობლოს სვალინდელი
ფლაგმანი“.

„ყველა ჭრილში დაგლოგი მიწების პროვლამათა
პრაქტიკული განსოციალება“.

„პატაქას, მიღწევას და პერსპექტივას — მიზან-
სწრაფული სპეციალისტები!“

„შენი სიწმინდე სანთელივით ანთია გაღლებში“
(რაფსოდია საკოლმეურნეოგათაშორისო სამართა-
ლოს უფროსის ერთ-ერთ შრომით დღეზე).

„დრო — ის თქვენ აროდეს დაგიცდით!“

„ვინც ჩაი დალია, კარგიაო — თქვა!“

„გიჟვარს ძაბა ჩაი? მიხაჟოსთან ჩაი!“

„სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ ჩაიფარულა! — რაც
არ იწვის, არ ანათავს!“

სრულიად საკმარისია თვრამეტი რუბრიკა რამდენიმე
ნომრისათვის, დანარჩენისათვის, გთხოვთ, თვითონ ამოი-
წეროთ, რამეთუ კარგად უთქვამთ: „შრომითი მგზნებარება
უფრო მაღალს ხდის ადამიანის სიტუაციურ აღორძი-
ნებას ყველა ჭრილში!“

ჯაჟუნია



დილოგები

— გუშინ ერთ დაწესებულებაში ვიყავით, მოქალა-
ქეთა მიღების საკითხი უნდა შეგვესწავლა.

— რა გაარკვეით მერე?

— უფროსმა არ მიგვიღო — ამ კვირაში თქვენთვის
არა მცალიაო!

— ამ მაღაზიაში ამ კაცის გაყიდული ჯერ არაფერი
მინახავს და, საიდან მოაგროვა მანქანის ფული?

— ქუჩაში ყიდდა და ფულიც იქ მოაქუჩა!

— დღეს ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარემ ერთი
საგზური მოგვითანა და ერთ თვეს ყველანი დავის-
ვენებთ!

— რა საგზურია ასეთი?

— უფროსი მიდის დასასვენებლად!..

— შეძლებ ასეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშა-
ობას?

— ვცდი და, თუ ვერ შევძელი, ადგებიან და ისევ და-
მანინაურებენ!

გიორგი დონდოლაძე

ნაქვესები

● **კაცი** კაცს ხელგაშლით შეხვდა, პასუხად კი და-
მუშტული მიიღო.

● **ხულიგანს** სხვისი ნიკაბი ყულაბა ჰგონია —
შემოჰკრავს და ოქროს კბილებს ჩამოაყრევინებს.

● **შინიდან** გამოდიოდა — წელს იტაცებდა, შინ
კი აქლემის ტვირთი მიჰქონდა.

● **ქაწვი** კაცი მშვიდი მოკვდა, მის ფლავს კი სხვები
მიირთმევდნენ.

სარგის მირზოიანი

ჩუცობა

ანუ

ორი სიუჟეტი საუწყებო
განკარძოების მაგალითზე



— წყალკანალია?! თქვენი ჭირივე, გული გაქვს ცუდად და კიდევ
ოცი წვითი ღამიგატათ „ვალერიანის“ დასალევად!

ადამიანი იმდენს ეცადა, რომ რკინის რელსებზე რკინისავე რაში (პროზაულად რომ ვთქვათ — მატარებელი) ამხედრა! მართალია, გადაადგილების ეს საშუალება უამრავი კომპონენტისაგან — განძელები, რელსები, ორთქლმავალი (შემდეგში — თბომავალი, ელმავალი), ვაგონები, ისრები, სემაფორი და სხვა მსხვილმან-წვრილმანისაგან შედგებოდა, მაგრამ მთლიანობაში, რატომღაც, რკინიგზა ეწოდა. შემდეგ კი, მეტი უპირატესობა რომ ეგრძნოთ, რკინიგზებზე (აღამიანებზე, რომლებიც მიმოსვლის ამ საშუალებას ემსახურებოდნენ) რკინიგზას ეგრეთ წოდებული „პალასი ოტჩუდენია“ — განდგომის, განშორების, განკარძოების ზოლი (ამგვარად განსაზღვრული ლექსიკონში) გააუოლეს და თავიანთ თავს „სახელმწიფო — სახელმწიფოში“ უწოდეს!..

ყოველივე ეს დიდი ხნის წინათ მოხდა და მას აქეთ, ბუნებრივია, უამრავ ცვლილებას მოვესწარით: შეიცვალა თვით სახელმწიფო წესწყობილებაც კი! თუმცა ზოგიერთ რკინიგზელს არა და არ სურს იმის დავიწყება, რომ რკინიგზა ოდესღაც სახელმწიფო იყო სახელმწიფოში!..

აი, როგორი სახე აქვს ამას ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სიუჟეტში:

სიუჟეტი პირველი: მაღალმთიანი დმანისის რაიონი ბოლო ხანებში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დახმარებითა და საკუთარი მონდომებით, ინდუსტრიულ რელსებზე დგება. ორი წლის განმავლობაში მწყობრში ჩადგან მძლავრი, დიდი პერსპექტივის მქონე სამრეწველო საწარმო, 4 კი ახლო მომავალში ამოქმედდება. მრეწველობის განვითარებამ კანონზომიერად წამოჭრა სატრანსპორტო სიძნელეები, მით უმეტეს, რომ რაიონი რკინიგზას დაშორებულია.

დასხდნენ დმანელნი ბჭობად, განჩხრიკეს და განჭვრიტეს საფიქრალ-საძიებელი და ნახეს გამოსავალი, კეთილი ფრიად — კაზრეთის რკინიგზის სადგურზე მდებარე საშუალებად საწყობი, უპატრონოობით ივარქმნილი, მაგრამ შეკეთება-მოვლის შემდეგ — გამოსადეგი! საწყობი იგი მრავალმხრივ ხელსაყრელი იყო მათთვის — დროულად და ხარისხიანად გაგზავნიდნენ გასაგზავნს და მიიღებდნენ გამოგზავნილს. აცდებოდათ მრავალნიშნაფრიანი სარკინიგზო ჯარიმების თანხის გადახდა,

გაუმჯობესდებოდა რაიონის მშრომელთა გარჯის ნაყოფის მოვლა და, რაც მთავარია, დაიზოგებოდა ადამიანის ნერვები!

მიდგნენ-მოდგნენ დმანელნი, გაიკითხეს საწყობის ყოფილი მოიჯარადრე-დამქირავებელნი. მათი სიტყვა იმის თაობაზე, რომ საწყობი აღარ სჭირდებოდათ, ხელრთვა-ბეჭდით დამოწმდა და აფრინეს შიკრიკი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში ახალი თხოვნითა და პირობის სიგელით.

დმანელნი მოუთმენელი სიხარულით მოელოდნენ მაცნეს დაბრუნებას, მაგრამ ვაგლახ, რომ...

— არაო! — შემოთვალეს რკინიგზის მესვეურებმა. — რათაო? — გაიკვირეს მთხოვნელებმა. — არა და არაო! ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვსო!

— მაშ, ჩალით ყოფილ სოფელ-ქვეყანა დახურულიო! — გაცხარდნენ დმანელნი და რესპუბლიკის მთავრობას სთხოვეს დახმარება.

— ეს როგორღა გაბედესო?! — აქეთ თავის მხრივ ქეზი მოიბეს რკინიგზის თავკაცებმა, ჩივილი ჩვენთან ვის გასვლია, თქვენ გაიტანოთო და გადაწყვიტეს, დაესაჯათ დმანელნი. მათ მისამართზე გაგზავნილ ტვირთს, იმ დღეს აქეთ, უახლოეს სადგურ კაზრეთში კი არა, ბოლნისში აჩერებენ, შორი გზა მოიარეთ, შინ მშვიდობით მიხვალთო! — იცინიან.

... და იწერება აკლავ თხოვნა-არზანი, იგზავნება ინსტანციებში, არის იმედი და ჟიმედობა, რკინიგზის მესვეური კი ჯიუტად სდუმან, მოძველებულ კანონებს ამოფარებულნი, სდუმან და იმ მამაცხონებულს იხსენებენ, ვისაც პირველად მოუვიდა აზრად, ეთქვა, რკინიგზა სახელმწიფოა სახელმწიფოში!

სიუჟეტი მეორე: თავიდანვე უნდა განგაცხადო, რომ ეს მეორე სიუჟეტი უფრო მკირეა მოცულობით, მაგრამ არცთუ ნაკლებია მნიშვნელობით. იგი მარნეულის რაიონულ ცენტრში მდებარე გაუქმებულ გადასასვლელს ეხება!..

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი

უბასუხისმგებლო კაცის შეცდომა-დაუდევრობით ზედ გადასასვლელზე ერთმანეთს შეეჯახა ორი რკინამობილი (მატარებელი და ავტომანქანა). დაჯახებამ ხმაც დიდი გამოსცა და ექოც!


იმსჯელეს მომხდარიც გამოსხვადასხვა რანგისა და ჩინის პირებმა. დაგმეს დასაგმობი, დასაჯეს დასასჯელნი. გამოიტანეს გადაწყვეტილებები და — განაჩენიც კი! საფიქრებელი იყო, რომ ეს უბედური შემთხვევა ამით გათავდებოდა, მაგრამ რკინიგზის ხელისუფალნი უფრო ღრმად და აფუძვლიანად ჩაუფიქრდნენ მომავალს — ხომ შეიძლება, ისევ მოხდეს დაჯახება?! დაჯახებას ექნება ხმა, ხმა გამოაცემს ექოს და ასე შემდეგ!.. მაშ, რატომ უნდა ავითვიოთ აუტყვიარი თავიო და... მგლის შიშით გაწყვიტეს ცხვარი — გააუქმეს გადასასვლელი!

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიხრა. არც ნაკლებ მატარებლებს ჩამოუვლია გაუქმებულ გადასასვლელზე, ავტომანქანები კი (დღეში — 18—20 ათაი) ქალაქის ცენტრის შემოვლით დადიან სამრეწველო თუ ააოფლო-სამეურნეო ობიექტებზე, გადააქვთ სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაჰყავთ ადამიანები!.. იფლანგება დრო, იხარჯება საწვავი, ცდება ტრანსპორტი!.. ამის თაობაზე რაიონის ხელმძღვანელობას არაერთხელ მიუმართავა წერილობით, ალუმალეობა ხმა ტრიბუნიდან. დაბეჭდილა რაიონულ თუ რესპუბლიკურ პრესაში!.. ისიც გვიტხრეს, ერთი ახალგაზრდა ეკონომისტრ დისერტაციას ამზადებდა გადასასვლელის გაუქმების აოაეკონომიკურობის თაობაზეო! საქმე ის ყოფილა, პირადად ვის დაედება ცოდვად ზარალის სიმძიმე!

რკინიგზის მესვეური კი ამგვარადაც სდუმან, სდუმან ორმაგად, რადგან, თავიანთი ღრმა რწმენით, რკინიგზა სახელმწიფო განსაზღვრულ სახელმწიფოში!

ღავით ასტურაპა.

„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი.



სწავლა—სიბერეშდო!

იარაღი
მედიკალი

დავამთავრე საშუალო სკოლა და მოვეწყვე ინსტიტუტში.
სკოლაში მიღებული ცოდნა ჩვენთან აღარ გამოგადგებაო, მითხრეს ინსტიტუტში.
დავამთავრე ინსტიტუტი და მოვეწყვე ქარხანაში.
ინსტიტუტში მიღებული ცოდნა ჩვენთან არ კმარაო, ამიხსნეს ქარხანაში.
მოვეწყვე ასპირანტურაში.
ინსტიტუტში და წარმოებაში შეძენილი ცოდნის იმედი ნუ გექნებაო, შენიშვნა მომცეს ასპირანტურაში.
დავამთავრე ასპირანტურა და მოვეწყვე ისევ ქარხანაში.
ასპირანტურაში მიღებული ცოდნა ჩვენთან არაფერს ნიშნავს, თუორია პრაქტიკის გარეშე მკვდარიო, განმიმარტეს იმავე ქარხანაში.
გამოვიცვალე სამსახური და გადავედი საპროექტო ინსტიტუტში. მართო ინსტიტუტში, ასპირანტურასა და ქარხანაში დაგროვილი ცოდნა-გამოცდილებით ჩვენთან წინ ვერ წახვალო, გამომიცადეს საპროექტო ინსტიტუტში.
გადამიყვანეს სამინისტროში.
ასპირანტურაში მიღებული ცოდნითა და საპროექტო ინსტიტუტში შეძენილი გამოცდილებით აქ ფონს ვერ გახვალო, გამაფრთხილეს სამინისტროში.
მეცნიერ მუშაკად დამნიშნეს ერთ-ერთ კათედრაზე.
ასპირანტურაში, წარმოებასა და სამინისტროში თავმოყრილი ცოდნა-გამოცდილება აქ ნათლად საკმარისი არ იქნებაო, მითხრეს კათედრაზე.
ამ დროს, საშუალოდამთავრებულ ჩემს ამხანაგს — საკმარისი ცოდნა და გამოცდილება გაქვსო, უთხრეს, ჩემზე მეტ ხელფასსაც ღებულობს და სამჯერ მეტი შემოსავალიც აქვს!..


ვანო ცინცაძე

50 წლის აუანუკა (Xუნი) მიქაბაქის


მოთაყვანე და მეხოტბე
ვარ მოქანდაკე ჯუნასი!
მის „გალაკტიონს“, „მზეჭაბუკს“
ვერ დასცემს დროთა ბრუნვაც
კი!..

რაც შექმნა, ცოტა როდია,
მაგრამ ჩვენ უფრო მეტი გვსურს
და მოუთმენლად მოველით
„რუსთაველსა“ და „ეთიმ
გურჯს“!

მეგობრული შარტი თ. გომოლამისა



ს.ა. ჯ. ლოლუხანი



ე ვ ა — ა დ ა მ ს: ოღონდ მოგვალ ზაფხულს გიჟვინთის
შემოქმედავით სახლში დამასვენე და, მერა სულ შიშველ-
ტიტველი ვივლი!..

50 წლის ნოდარ ნარსიას

ნაღდ პატრიოტს და ნაღდ პოეტს,
კაცურ კაცს—ნოდარ ნარსიას—
სული და გული სიკეთით
და სიყვარულით სავსე აქვს!

მართალი ლექსით ანთია,
პატიოსნებით მზიურობს
და ფარ-ხმლად ხმარობს
ხანდახან
სატირასა და იუმორს!

კრიტიკაც ამას ჰქვია!

— თქვენ უხეში და უგულო ადამიანი ხართ! — უთხრა ღირეკტორს ეკონომისტმა ბაუ-
ერმა.
— თანაც უსამართლო! — დაუმატა მწე მიუღერმა.
— ჯანსაღ კრიტიკას ვერ იტანთ! ჰა-ჰა-ჰა! — სარკასტულად გადაიხარხარა დამლაგებელმა
მართამ.
— ვერ იტანსო?! — შეუსწორა განუოფილები გამგემ, — ვერ იტანს კი არა, პირწავარ-
დნილი თავხედია! არ გახსოვთ, კოლეგა ლეგანი სამართლიანი კრიტიკისათვის რა დღეში
ჩააგდო?!
— თქვენ მართალი ბრძანდებით, ძვირფასო ამხანაგებო! — თქვა ღირეკტორმა და სირც-
ხვილისაგან გაწითლდა. — თვითონაც მივხვდი, რომ ჩემს სულში ბიუროკრატიზმის ბაცილებმა
დაისადგურეს! მხოლოდ კრიტიკას, მხოლოდ თქვენს ჯანსაღ კრიტიკას შეუძლია განმკურნოს
ამ საშინელი სენისაგან და გადამარჩინოს! ამიერიდან ჩემი მუშაობის სტილს რადიკალურად
შევიცვლი!
— კარგი! — თქვა კრების თავმჯდომარემ, — ჩვენ ამას გავაკონტროლებთ!
ფარდა დაეშვა. მაშუარებელი კამეროფილი დარჩა!..

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ოჯახის ამრავლის მონოლოგი

სახინკლეში დავიბუდე!
არაყს ვსვამ და... ვირევი!
არყის სუნით ავაყროლე
ცოლიცა და შვილებიც!

შინ მივდივარ დაოთხილი!
ცოლთანა ვარ გულადი!
ერთი შვილი მიცნობს ჩემი
შავი ფოტოსურათით!

თუ ოჯახი არ ავრიე,
იხე როგორ ვიცხოვრებ?!
ფურიგდები, როგორ არა,
მაგრამ უფრო — სხვის ცოლებს!

ჩაიწერა გიგა მახვილაძემ



ს. ჯ. ლოლუასი

ზუგდილის ბაზრის შესასკულთან

— „ლილა!.. ლილა!.. სინკა!.. ლილა!..“ —
ბაზრობის დღეს, ყოველ დილას,
და სხვა დროსაც ისმის სმირად!

— გამა!.. გამა!.. კევა!.. გამა!..
— „მაოთან არაფერი გავა!
გაყიდის და ისევ წავა!..“ —
უთქვამთ ბევრჯერ! — ერთხელ განა?!


— „ბრიტვა!.. ბრიტვა!.. ლე-უ-ზეი!..“
„ხედავ?! გარბის! დეენი!..“
ვერას გახდა მილიცია! —
დავეხმართო, იქნებ, წიე!..“

ეს ლექსი კი გამოთქვეს, მაგრამ ზუგ-
დილელ მშრომელებს ეს ორი კითხვა
უფრო ანუხებთ:

1. საიდან, ვისგან მოაქვთ სპეკულან-
ტებს ძნელადსაშუალო იმპორტული დე-
ფიციტური საქონელი?!

2. ასე რატომ გაძნელდა ბაზართან
და, საერთოდ, მის ტერიტორიაზე „მოლ-
ვანე“ სპეკულანტების, ქორვაჭრების,
ეგრეთ წოდებულ „წერილმან გადამყიდ-
ველთა“ ალაგმვა?!

ანზორ გარამია,
„ნიანგის“ კორესპონდენტი.




ალო! ალო!.. კიდე გაითიშა!
ჩემი გულის გასახეთქადა მოგო-
ნილი ეს ტელეფონი.. ალო, გუ-
ლიყო ხარ? ჰო, გაითიშა! წარ-
მოგიდგენია, ქალო! — ერთი სა-
ათი არაა, რაც ვლაპარაკობ და
სამჯერ გაითიშა!.. ასეა, ატეხს
ჭორაობის მეტს არაფერს აკეთე-
ბენ და!.. ჰო, იმას გეუბნები: არაქათი
ალაბა მაქვს! გადავიქან-
ცე, მაგრამ ამ ათ დღეში ათი თვის
საქმე გავაკეთე! — შალერი ვი-
შოვე, შალერის უნახავს გაგ-
ხდის! ზომ წარმოგიდგენია, რა
დღეში ჩავარდება თამუცა?! გაბ-
სოვს, რა მითხრა, ჩემნაირ შა-
ლერს ვერ იშოვი, არ არსებობ-
სო?! კი გამიჭირდა, მაგრამ ქვა
გავნეთქე და ვიშოვე!.. ა? მე
რამე მოვინდომო და ვერ ვიშო-
ვო?! ეგ რა არის, სასადილო გარ-
ნიტური ვიყიდე, ჭკუას დაკარგავ!
ანტიკვარია! ცოტა რესტავრაცია
უნდა, მაგრამ ეგ არაფერია!..
თვალი დაუდგება მანანას, კიტ-
რით რომ მოსწონს თავი იმ
მირეზვილი ავეჯით! ისე, რა და-
გიშალო და, თან გადაყვეცი! იმ-
დენი ვირბინე, ელენო ამტკიცდა!
სამაგიეროდ, რომ ნახავ, გული
გაგინათდება!.. ალო! ალო!.. ცუ-
დად ისმის!.. გულიყო!.. ჰო, ახლა
კარგად ისმის!.. ფესხაცმელები ვი-
შოვე, დეზებიანი! ვის არ და-
ვარკვინე, ვის არ მივაწვრინე,
არ ვჭამე, არ ვსვი, სამი დღე
ვდიე და ვიშოვე! აბა, როგორ?!
მზიამ იპაჟუნოს იმ დეზებით და
მე არა?! გულიყო, მისმენ?! კაბა
შევაყვრინე, ცუდად გახდები!.. კი,
წელში გამოყვანელი, კლოშით!..
ხვალ „რიჩარდ მესამე“ მივღ-
ვარ იმ კაბით, მაყაშვილებიც იქ-
ნებია!.. გუშინ მამიდაჩემთან ვი-
ყავი წოდორეთში, გადასარევი
ნამცხვრების გამოცხობა იცის!
დღეს გოგოები მოვლენ ყავაზე,
იამზე ჩავსიხდავს! შენც მოდი
რა! გუშინ საღამოს დაღისთან
ვიყავი დაბადების დღეზე, იმდენი
ვიცეკვე, გასაწური გავხდი!..

ახლა თმა მაქვს შესაღები, მა-
ნიკური—გასაკეთებელი, როლინ-
გი — გასარეცხი! ბავშვიც სამეცა-
დინო მყავს! ძველებურად ვეღარ
ვეხმარები, გოგო, გაურთულდათ
პროგრამა! გუშინ კითხულობდა,
უფრო მოვკარი: თურმე მზე კი არ
ამოდის და ჩადის, დედამიწა ბრუ-
ნავს თავისი ღერძის გარშემო და
ასე გვეჩვენებო!.. წარმოგიდგე-
ნია?! გულიყო, მისმენ?! რა წყა-
ლში ჩავვარდე, არ ვიცი! უამრავი
საქმე მაქვს კიდეც მოსაგვარებე-
ლი და ჯინაზე ხვალ მითავდება
ბიულეტენი! ვინმე არა გყავს პო-
ლიკლინიკაში? ალო! ალო! გუ-
ლიყო!..

მოისმინა ლერი ჩანტლაძემ

არგენტინის კრეზიდენტმა მკაცრად დაგ-
მო შეერთებული შტატები, რომელმაც არა მარტო
უარი თქვა შეესრულებინა ინგლისთან კონფლიქტში
არგენტინის მხარდასაჭერად ხმების უმრავლესობით
მიღებული ამერიკის სახელმწიფოთა-ორგანიზაციის
რეზოლუცია, არამედ აშკარად დაუჭირა მხარი დიდა-
ბრიტანეთის კოლონიურ პრეტენზიებს.
გაზეთებიდან



ნ. ბ. ლომიძისა

ნაოკლონიალური ალიანსი

სადებაში—

ძარცვის

სამახსოვროდ!..

მძარცველმა მერილენდის შტატის (აშშ) ქალაქ ბალ-
ტიმორის ბანკის მოლარეს დაშაჩა მიუშვირა და მთელი დღის
შემოსული ფული მოსთხოვა. ბანკნოტების მოზრდილი დასტა
ქამარში ჩაიტენა და, ის-ის იყო, მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა,
რომ მოულოდნელად აფეთქების ხმა გაისმა... განგსტერი მენა-
მულ მწეხვ კვამლში გაეხვია... ბანდიტმა აბოლებული დოლა-
რები მინაზე დაყარა...


— საქმე ის იყო, — განმარტავს ბელგიის გაზეთი „პეპლი“, —
რომ ფულის ერთ-ერთ დასტას „საიდუმლოება“ ახლდა — გატე-
ნილი იყო ფეთქებადი ნივთიერებით, რომელიც მძარცველს ცრემ-
ლსადენ გაზს აფრქვევდა, მოუშორებელ საღებავთან ერთად.
ბოროტმოქმედმა მიმალვა სცადა, მაგრამ პოლიციამ ყველა საა-
ვადმყოფო გააფრთხილა და მალე „პაციენტი“, რომელსაც დამა-
ხასიათებელი „ფერადი ტრავმა“ ჰქონდა, საპრობოლოში აღმო-
ჩნდა.

სულ უფრო დახვეწილი ხდება ლაშქარშავეთა წინააღმდეგ ბრძო-
ლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ მას მაინცდამაინც
დიდი წარმატებები როდი ახლავს: ყოველ 24 ნუთში ხდება მკვლე-
ლობა, ყოველ 7 ნუთში — გაუპატიურება, ყოველ 51 წამში —
ბანდიტური თავდასხმა!..


გაზეთი „ზა რუპაშუი“

7-82

ნ.ბ. ბ. ფირცხალაშვილი




მამები და შვილები



შვილები და მამები

ნ.ბ. ბ. აბაშიძის

— უთხარი, სახლში არ არის-თქო!
— გოგოს და გოგოს, თქვენთან ტყუილის თქმა
ვისწავლო, თუ სიმართლისა?



82-103
სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნ.ი.ანგი“
№ 12 (1622) ივლისი
თბილისი 1923 წ. ივლისიდან

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო
კოლეგია:
მამუკა ამილახიძე,
როსტომ ბარბაქაძე,
ბორის ბურჯულია,
ნოდარ დუმბაძე,
რეზა თვარაძე,
ჯემალ ლომია,
ნოდარ მაღალაშვილი
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სხვინია,
გიორგი სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიორგი ფირცხალაშვილი,
ჯანსუღ ჩიკაშვილი,
თეიმურაზ წიგნაძე,
ნათა ჯანაშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაზი ჯანაშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კახალაშვილი

გადაცემა ასაწყობად
17. 5. 82 წ.
ნაშრომისათვის დასაბამად
23. 6. 82 წ.
კალაშნიკის ზომა 70x100
ფიზიკური ნაბიჯი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საბამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კ. ც. კ. ს.
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 1286 უფ. 06326
ტირაჟი 148.950.
ფურცელი გამოცემის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მ მდივნის — 93-10-78, მხ.
ტარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეობის —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშავე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მეზან-
ქის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «Н.И.АНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ს.ბ. ბ. აბაშიძის
ი. აბაშიძის
№ 465
82
19.1.1982